ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95. 95223011**

თარიღი:**28/10/2022**

დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის ტერიტორიაზე, პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტის განთავსების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 06 ნოემბრის №25 დადგენილებისა და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2022 წლის 09 აგვისტოს №d95.95222212 დასკვნის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1.განთავსდეს პროფესორ ვახტანგ პაპუნიძის ბიუსტი დაბა ქედაში, ტბელ აბუსერიძისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2.ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ბიუსტის დამზადებისა და განთავსების ხარჯები განხორციელდება საინიციატივო ჯგუფის მიერ.

3.ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძეს), უზრუნველყოს ბიუსტის განთავსების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

4.განკარგულების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ოთარ ხარაძე).

5.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

6.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი